ხელშეკრულება N 253

ქ.ქუთაისი 24 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ **სსიპ კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ავალიანის სახით და მეორე მხრივ **ი/მ „ირმა ალფაიძის“** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი სახით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატერები წესისი დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

(CPV კოდი: 24224000 - საღებავი ნივთიერებები) (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N 1 -ის შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **385,00** (სამასოთხმოცდახუთი) ლარს. **დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3,1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3,2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3,3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღეში.

4. ხელშეკრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4,1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების სპეციალისტი გიგა ფახურიძე.

4,2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის 2019 წლის 24 სექტემბრის N 339 ბრძანებით შექმნილი კომისია (თამარ დვალი, ბერიკა უშვერიძე, რუსუდან ხაბულიანი)

4,3 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5,1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთაისი ნიკეას N12.

5,2საქონლის მიწოდების განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6,1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6,2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6,3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6,4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მოთითებულია ხელშეკრულების 5,2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7,1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გასვლის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.
7,2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8,1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8,2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გავალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8,3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.
8,4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8,5 მხარე ვალდებულია 8,4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8,6 ხელშეკრულება ასევე შიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატიცით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8,7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერსთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი „იბერია“
მის:ქ.ქუთაისი ნიკეას N12
საიდენტიფიკაციო კოდი: 212 682 051
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ნ: GE 24 NB 0330 1002 0016 5022

ირაკლი ავალიანი

მიმწოდებელი:

ი/მ „ირმა ალფაიძე“
მის: ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის N53ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 41001008059
„საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ: GE56BG 00000000 242 600 100

ირმა ალფაიძე

დანართი N1

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ	CPV
1	საღებავი სპრეი 400 მლ	ცალი	70	5,5	385,00	24224000
					385,00	

სსიპ კოლეჯი „იბერია“ ი/მ „ირმა აფლაიძე“

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ქუთაისი 24 დეკემბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ი/მ „ირმა ალფაიძის“ შესყიდვების განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირები:

სსიპ კოლეჯი „იბერია“

დირექტორი: /ი.ავალიანი/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/